საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“
OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 9 22 03342080

28/11/2022

ქალბატონ ელენეს
პირადი ნომერი: 01005037179
მისამართი: აგლაძის 38
ტელეფონის ნომერი: 599241080
ელფოსტა: foi+request-1158-bf4372e5@askgov.ge

ქალბატონო ელენე,

მიმდინარე წლის 14 ნოემბრის № 3209281 განცხადების პასუხად მოგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი ,,112“ წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს, რომელიც იღებს გადაუდებელი საჭიროების შესახებ პირველად შეტყობინებებს და ინფორმაციას რეაგირებისთვის გადასცემს შესაბამის სამსახურს (პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, სახანძრო/სამაშველო სამსახური).

დამატებით გაცნობებთ, რომ შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შემოსული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე. თითოეულ განხორციელებულ ზარზე „112“-ის ოპერატორის (ზარის მიმღების) მიერ პროგრამულად განისაზღვრება პრობლემის ანუ ინციდენტის ტიპი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა.

მოგახენებთ, რომ ავტოსაგზაო შემთხვევებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებები ერთიანდება შემდეგი ინციდენტის ტიპების ქვეშ: **„საგზაო - სატრანსპორტო შემთხვევა (ადმინისტრაციული სამართალდარღვევა)“** და **„საგზაო - სატრანსპორტო შემთხვევა ჯანმრთელობის დაზიანებით“**. შეტყობინების ინიციატორი შესაძლოა იყოს, როგორც ამ შემთხვევის შედეგად დაზარალებული მოქალაქე, ასევე, სხვა პირი. შეტყობინების მიღების დროს, ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ ფიქსირდება საქმის სარეგისტრაციო ფორმის ტექსტურ ველში, არაშაბლონურად, შესაბამისად, არ ექვემდებარება სტატისტიკურად დამუშავებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, წარმოგიდგინოთ ს ტატისტიკური მონაცემები, ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზარალებულთა მომართვიანობის შესახებ, ვინაიდან არ ხდება ამ კუთხით ინფორმაციის დამუშავება.

პატივისცემით,

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის
ცენტრი ,,112"
ადმინისტრაციის (სამმართველო)
უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი
რობაქიძე სალომე